

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 180

08.12. 2009 წ.

2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით გარედან მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;
 - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის არ მქონე პირი – 3,50 ლარი საათში.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზემოთ განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
 - სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;
 - ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პროფესორი ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,10 ლარი საათში;
 - ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

გ. სალუქვაძე